საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/52 " 22 " მაისი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ვ. დობორჯგინიძის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის 4^1 პუნქტის შესაბამისად, ვერა დობორჯგინიძე 2017 წლის 25 მაისიდან გამწესდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე–36^4 მუხლების შესაბამისად, 2017 წლის 25 მაისიდან 2020 წლის 25 იანვრამდე პერიოდში ვერა დობორჯგინიძის შეფასების მიზნით განხორციელდა 6 დამოუკიდებელი შეფასება საბჭოს სამი მოსამართლე (თ. ონიანი; გ. მიქაუტაძე; რ. ნადარაია) და სამი არამოსამართლე (შ. ქადაგიძე; ზ. ხარებავა; ნ. ჯანეზაშვილი) წევრის მიერ. აღნიშნული შეფასებების შედეგად მოსამართლე აკმაყოფილებს კანონით დადგენილ კრიტერიუმებს. კერძოდ, ექვსივე წევრი მიიჩნევს, რომ მოსამართლე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას მოსამართლე ვერა დობორჯგინიძის მიერ მოპოვებულ ქულათა ჯამი შეადგენს 534 ქულას, რაც წარმოადგენს ქულათა მაქსიმალური შესაძლებელი რაოდენობის (600 ქულა) 89%-ს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით (**მომხრე:** ი. ბონდარენკო; ი. გელაშვილი; ლ. გზირიშვილი; დ. გვრიტიშვილი; ნ. მარსაგიშვილი; გ. მიქაუტაძე; ვ. მშვენიერაძე; რ. ნადარაია; თ. ონიანი; შ. ქადაგიძე; ი. შენგელია; ნ. ჯანეზაშვილი; ზ. ხარებავა. **წინააღმდეგი:** ა. დოლიძე) „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4, 4^1 და 4^2 პუნქტების საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ვერა დობორჯგინიძე 2020 წლის 25 მაისიდან თანამდებობაზე გამწესდეს უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი